სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 266

ქ.ქუთაისი 4 ივნისი 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს'“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ მიქიაშვილის სახით. (მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-10-24; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - წერილი №01-3464 4.06.14წ).

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მეოხი“, მისი დირექტორის ჯემალ კვერნაძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №6; ტელ: 0431 23 33 77) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისში, მერიის ადმინისტრაციული და ტერიტორიული ორგანოების შენობებში წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. კლასიფიკატორის კოდი –38400000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".

3.3 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებლი“ ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს ,,შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი“–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, ეტაპობრივად, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) მიწოდებელი საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ–ს ანგარიშფაქტურა ;

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ლარებში.

6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

– მისაწოდებელი საქონლის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 900 (ცხრაასი) ლარს.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

10.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ წამოჭრილი დავები გადაწყვეტილი იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა # 33033303
ს/კოდი: 212721170
ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნოდარ მიქიაშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „მეოხი"
მის: ქ. ქუთაისი,ნიკეას ქ. №6
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: 220101400
ა/ა №GE53LB0113111814410000
ს/კოდი: 212804722
შ.პ.ს. „მეოხი"
დირექტორი

ჯემალ კვერნაძე

მერიის ადმინისტრაციული და ტერიტორიული ორგანოების შენობებში წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთების ხარჯთაღრიცხვა

№	დასახელება	მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	წყლის მრიცხველი	3/4 დუიმიანი	ცალი	3	36	108
2	წყლის მრიცხველი	1/2 დუიმიანი	ცალი	10	33	330
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დუიმიანი	ცალი	30	0,8	24
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დუიმიანი	ცალი	28	0,7	19,6
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დუიმიანი	ცალი	10	7	70
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დუიმიანი	ცალი	20	7,1	142
7	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა“	3/4 დუიმიანი	კომპლექტი	10	7	70
8	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა“	1/2 დუიმიანი	კომპლექტი	20	6	120
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დუიმიანი	ცალი	10	10,24	102,4
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დუიმიანი	ცალი	30	9	270
11	მილი პლასტმასის	3/4 დუიმიანი	გრძ. მეტრი	80	3,4	272
12	მილი პლასტმასის	1/2 დუიმიანი	გრძ. მეტრი	120	2,1	252
13	მრიცხველის შეცვლა			12	30	360
	ჯამი					2140
	ზედნადები ხარჯები	10%				214
	ჯამი					2354
	გეგმიური დაგროვება	8%				188,32
	ჯამი					2542,32
	დღგ	18%				457,6176
	ჯამი					2999,9376

შ.პ.ს "მეოხი"-ს დირექტორი: ჯ. კვერნაძე

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-3464
04 06 2014 წ.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ მერაბ მეშველიანს

04.06.12

ბატონ მერაბ,

ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა და მერიის სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის ნაერთ გეგმაში მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთებისა და აღდგენის მიზნით გათვალისწინებულია 3000 ლარი. (SPV-38400000) აღნიშნული ექვემდებარება გამარტივებულ შესყიდვას ერთ პირთან მოლაპარაკების წესით. მერიის მიერ აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით მომწოდებლის შესარჩევად მერიის მიერ გაგზავნილი იქნა წერილები სავარაუდო ფასების მოწოდებასთან დაკავშირებით სამ მომწოდებელთან, რომელთაგანაც დაბალი ფასები წარმოადგინა შპს „მეოხმა".

გთხოვთ დაგვრთოს ნება, გაფორმებულ იქნას ხელშეკრულება შპს „მეოხთან" ღირებულებით 3000 (სამიათასი) ლარი.

პატივისცემით,

ნოდარ მიქიაშვილი

მერის მოვალეობის შემსრულებელი

04.06.2014.

United Cities and Local Governments
Cities Governments Locaux Unis
Ciudadesy Gobiernos localles Unidos

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“ მ ე ო ხ ი ”
საქართველო, ქუთაისი, ნიკეას ქ. №6
☎ (0431) 23-33-77
მობ: 568 01 11 55

LT.D.
“ M E O K H I ”
6. NIKEA st. Kutaisi, Georgia.
☎ (0431) 23-33-77
mob: 568 01 11 55

vl.meokhi@gmail.com

№01- 55

19/05/2014წელი

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ბატონო ნოდარ,

თქვენი ა/წლის 15 მაისის №01-3464 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთების ფასებს ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელსა და მომსახურებაზე.

№	დასახელება	მახასიათებელი	განზ	რაოდ
1	წყლის მრიცხველი	3/4 დიუმიანი	ც	51.80
2	წყლის მრიცხველი	1/2 დიუმიანი	ც	47.14
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დიუმიანი	ც	1.15
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დიუმიანი	ც	0.95
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დიუმიანი	ც	10.85
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დიუმიანი	ც	9.95
7	ხრახნიანი მუფტა "ამერიკანკა"	3/4 დიუმიანი	კომპლ	9.90
8	ხრახნიანი მუფტა "ამერიკანკა"	1/2 დიუმიანი	კომპლ	8.50
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დიუმიანი	ც	14.50
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დიუმიანი	ც	12.80
11	მილი პლასტმასის	3/4 დიუმიანი	მ	4.70
12	მილი პლასტმასის	1/2 დიუმიანი	მ	2.95
13	მრიცხველის შეცვლა			39.80

ფასები მოცემულია ზედნადები ხარჯების, ტექმიერი დაგრეხვების და დღგ-ს გათვალისწინებით.

პატივისცემით

ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
№ 451
21 05 2014 წ.

№ 01-3464
19 05 2014 წ.

შ.პ.ს. „მეოხი“-ს
დირექტორი: ჯ. კვერნაძე

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-3464
15 05 2014 წ.

შპს „მეოხის" დირექტორს,
ბატონ ჯემალ კვერნაძეს,

ბატონო ჯემალ,

ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთებისა და აღდგენის მიზნით თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას შესაბამის კომპეტენტურ სამონტაჟო ორგანიზაციასთან.

თქვენი დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2 დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული ფასები ქვემოთჩამოთვლილ საქონელსა და მომსახურებაზე:

№	დასახელება	მახასიათებელი	განზომილება	ფასი
1	წყლის მრიცხველი	3/4 დუიმიანი	ცალი	
2	წყლის მრიცხველი	1/2 დუიმიანი	ცალი	
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დუიმიანი	ცალი	
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დუიმიანი	ცალი	
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დუიმიანი	ცალი	
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დუიმიანი	ცალი	
7	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა"	3/4 დუიმიანი	კომპლექტი	
8	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა"	1/2 დუიმიანი	კომპლექტი	
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დუიმიანი	ცალი	
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დუიმიანი	ცალი	
11	მილი პლასტმასის	3/4 დუიმიანი	გრძ. მეტრი	
12	მილი პლასტმასის	1/2 დუიმიანი	გრძ. მეტრი	
13	მრიცხველის შეცვლა			

პატივისცემით,

ნოდარ მიქიაშვილი

მერის მოვალეობის შემსრულებელი

ჩავარდა,
11.05.2014წ.

United Cities and Local Governments
Cities Governments Locaux Unis
Ciudadesy Gobiernos localies Unidos

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

შპს "გლობალ სერვისი"
L.T.D. „GLOBAL SERVIS"

№ 21/14

19.05.2014

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ბატონო ნოდარ,

თქვენი 2014 წლის 15 მაისის №01-3464 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთების ფასებს ქვემოთ ჩამოთვლილ საქონელსა და მომსახურებაზე.

№	დასახელება	მახასიათებელი	განზ	რაოდ
1	წყლის მრიცხველი	3/4 დიუმიანი	ც	58.00
2	წყლის მრიცხველი	1/2 დიუმიანი	ც	53.20
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დიუმიანი	ც	5.20
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დიუმიანი	ც	3.80
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დიუმიანი	ც	16.25
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დიუმიანი	ც	14.85
7	ხრახნიანი მუფტა "ამერიკანკა"	3/4 დიუმიანი	კომპლ	16.25
8	ხრახნიანი მუფტა "ამერიკანკა"	1/2 დიუმიანი	კომპლ	14.95
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დიუმიანი	ც	18.70
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დიუმიანი	ც	17.00
11	მილი პლასტმასის	3/4 დიუმიანი	მ	10.20
12	მილი პლასტმასის	1/2 დიუმიანი	მ	7.10
13	მრიცხველის შეცვლა			58.00

პატივისცემით

შპს "გლობალსერვისი"-ს
დირექტორი: /ი. ჯიშკარიანი/

მის: საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას №26. ს/კ 412671568 მობ: +995551255341. Georgia. Kutaisi,
str Nikea №26 Iden/kod 412671568 mob: +995551255341 E-mail globalservis2010@gmail.com

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-3464
15 05 2014 წ.

შპს „გლობალ-სერვისის" დირექტორს,
ბატონ ირაკლი ჯიმშკარიანს,

ბატონო ირაკლი,

ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთებისა და აღდგენის მიზნით თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას შესაბამის კომპეტენტურ სამონტაჟო ორგანიზაციასთან.

თქვენი დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2 დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული ფასები ქვემოთჩამოთვლილ საქონელსა და მომსახურებაზე:

№	დასახელება	მახასიათებელი	განზომილება	ფასი
1	წყლის მრიცხველი	3/4 დუიმიანი	ცალი	
2	წყლის მრიცხველი	1/2 დუიმიანი	ცალი	
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დუიმიანი	ცალი	
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დუიმიანი	ცალი	
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დუიმიანი	ცალი	
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დუიმიანი	ცალი	
7	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა"	3/4 დუიმიანი	კომპლექტი	
8	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა"	1/2 დუიმიანი	კომპლექტი	
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დუიმიანი	ცალი	
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დუიმიანი	ცალი	
11	მილი პლასტმასის	3/4 დუიმიანი	გრძ. მეტრი	
12	მილი პლასტმასის	1/2 დუიმიანი	გრძ. მეტრი	
13	მრიცხველის შეცვლა			

პატივისცემით,

ნოდარ მიქიაშვილი

მერის მოვალეობის შემსრულებელი

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

United Cities and Local Governments
Cities Governments Locaux Unis
Ciudadesy Gobiernos localies Unidos

შ.პ.ს. "ელკანი" L.T.D. "ELKANI"

ქ. ქუთაისი ლ. ასათიანის №101

№ 01--02

19/05/2014წ.

ქალაქ ქუთაისის მერის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ბატონო ნოდარ,

თქვენი ა/წლის 15 მაისის №01-3464 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთების ფასებს ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობისა და მიმსახურებაზე.

№	დასახელება	მახასიათებელი	განზ	რაოდ
1	წყლის მრიცხველი	3/4 დიუმიანი	ც	57.50
2	წყლის მრიცხველი	1/2 დიუმიანი	ც	52.50
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დიუმიანი	ც	4.75
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დიუმიანი	ც	3.45
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დიუმიანი	ც	15.90
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დიუმიანი	ც	13.50
7	ხრახნიანი მუფტა "ამერიკანკა"	3/4 დიუმიანი	კომპლ	15.30
8	ხრახნიანი მუფტა "ამერიკანკა"	1/2 დიუმიანი	კომპლ	14.00
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დიუმიანი	ც	18.20
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დიუმიანი	ც	16.50
11	მილი პლასტმასის	3/4 დიუმიანი	მ	8.50
12	მილი პლასტმასის	1/2 დიუმიანი	მ	6.75
13	მრიცხველის შეცვლა			55.00

პატივისცემით

შ.პ.ს. „ელკანი"-ს დირექტორი: ა. კუხალაშვილი

L.T.D. "ELKANI" I/K:412670015, KUTAISI I. asatiani Str.#101 Mob:+995 568 01 55 11, Email:kakoelkani@gmail.com

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-3464
15 05 2014 წ.

შპს „ელკანის" დირექტორს,
ბატონ აკაკი კუხალაშვილს,

ბატონო აკაკი,

ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობისა და ტერიტორიული ორგანოების დაზიანებული წყლის მრიცხველების შეცვლა-შეკეთებისა და აღდგენის მიზნით თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას შესაბამის კომპეტენტურ სამონტაჟო ორგანიზაციასთან.

თქვენი დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2 დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული ფასები ქვემოთჩამოთვლილ საქონელსა და მომსახურებაზე:

№	დასახელება	მახასიათებელი	განზომილება	ფასი
1	წყლის მრიცხველი	3/4 დუიმიანი	ცალი	
2	წყლის მრიცხველი	1/2 დუიმიანი	ცალი	
3	მუფტა პლასტმასის	3/4 დუიმიანი	ცალი	
4	მუფტა პლასტმასის	1/2 დუიმიანი	ცალი	
5	ცალმხრივი სარქველი	3/4 დუიმიანი	ცალი	
6	ცალმხრივი სარქველი	1/2 დუიმიანი	ცალი	
7	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა"	3/4 დუიმიანი	კომპლექტი	
8	ხრახნიანი მუფტა ე.წ. „ამერიკანკა"	1/2 დუიმიანი	კომპლექტი	
9	ჩამკეტი ვენტილი	3/4 დუიმიანი	ცალი	
10	ჩამკეტი ვენტილი	1/2 დუიმიანი	ცალი	
11	მილი პლასტმასის	3/4 დუიმიანი	გრძ. მეტრი	
12	მილი პლასტმასის	1/2 დუიმიანი	გრძ. მეტრი	
13	მრიცხველის შეცვლა			

პატივისცემით,

ნოდარ მიქიაშვილი

მერის მოვალეობის შემსრულებელი

ჩაბარდა:
16.05.14.

United Cities and Local Governments
Cities Governments Locaux Unis
Ciudadesy Gobiernos localies Unidos

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამ'ხ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62